ტრადიციული პეკინური საცხოვრისების ტრანსფორმაცია ისტორიული პროცესების ჭრილში

ანნა მახარაძე
ჩინეთის კვლევების კავკასიური ასოციაცია
თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, კულტურის კვლევების დოქტორანტი
ქ.თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი N1, 0179, საქართველო
+995 599 13 62 15. Annamakharadze01@gmail.com
https://orcid.org/0009-0003-5690-6194

აბსტრაქტი

ტრადიციული პეკინური საცხოვრისი — *სხეიუენი* საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა ჩინური არქიტექტურის, ოჯახის სტრუქტურისა და ფილოსოფიური შეხედულებების სივრცობრივ გამოხატულებას. სტატია ასახავს მის არქიტექტურულ და ფუნქციურ განვითარებას ისტორიული პროცესების ჭრილში. ყურადღება გამახვილებულია იმ ცვლილებებზე, რომლებიც მოიტანა კერძო საკუთრების გაუქმებამ, მოსახლეობის ხელოვნურმა შესახლებამ და კულტურული რევოლუციის პერიოდში მიმდინარე პროცესებმა. სტატიაში ასევე განხილულია *ხუთუნგების* თანამედროვე მდგომარეობა, რესტავრაციის პოლიტიკა და სახელმწიფოს მიერ განხორციელებული მცდელობები ისტორიული საცხოვრისების თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

საკვანძო სიტყვები: სხეიუენი; ხუთუნგი; კულტურული რევოლუცია; ურბანული მემკვიდრეობა; ტრადიციული საცხოვრისი.

შესავალი

ჩინური არქიტექტურის ისტორიაში ტრადიციულ საცხოვრისებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. პეკინის *სხეიუენი*[46] წარმოადგენს სახლის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო მოდელს, სადაც არქიტექტურული სტრუქტურა ასახავს სოციალურ იერარქიას, ოჯახურ სტრუქტურასა და ტრადიციულ ჩინურ ფილოსოფიურ მრწამსს. (李瑞君, 2021).

სოციო-პოლიტიკურმა რყევებმა, განსაკუთრებით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსებამა (1949) და კულტურულმა რევოლუციამ (1966-1976), ძირეულად შეცვალა ამ საცხოვრისების ფუნქცია და სახე. სტატია მიმოიხილავს, როგორ გადაიქცა *სხეიუენი* ინდივიდუალური საცხოვრებლიდან კოლექტიურ სივრცედ, როგორ აისახა ეს ცვლილებები ურბანულ იერსახესა და პეკინის მოსახლეობის სოციალურ ცხოვრებაზე. ასევე განიხილება XXI საუკუნეში ამ ისტორიული ძეგლების მდგომარეობა და მათი რესტავრაციის საკითხები.

მეთოდი

კვლევა ეფუძნება როგორც ისტორიული დოკუმენტების ანალიზს, ასევე თანამედროვე კვლევებისა და მეცნიერული ნაშრომების განხილვას. გამოიყენება კომპარატიული ანალიზის მეთოდი, რაც საშუალებას იძლევა შევადაროთ სხვადასხვა ეპოქის პოლიტიკური და კულტურული პროცესები პეკინურ საცხოვრისებზე მათი გავლენის კუთხით. საველე კვლევის მეშვეობით შესაძლებელია პეკინში არსებული ტრადიციული საცხოვრისების მდგომარეობის შეფასება და მათი შენარჩუნების თანამედროვე მიდგომების დადგენა.

---

[46] 四合院 (sìhéyuàn) სახლი შიდა ეზოთი. ოთხი სახლი, რომელელსაც ერთი ეზო აერთიანებს.
四(sì) - ოთხი 合 (hé) - შეერთება 院 (yuàn)- ეზო

მსჯელობა

არქეოლოგიური კვლევების მიხედვით, *სხეიუენების* პირვანდელი მოდელი, სათავეს იღებს დასავლეთ ჭოუს პერიოდიდან (ძვ.წ. 1046–770). მისი არქიტექტურული განვითარება განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა ხანის დინასტიის დროს (ძვ.წ. 206 – ახ.წ. 220). უკვე ამ დროიდან სახლების დაგეგმარება ფენ-შუის პრინციპებს ემორჩილებოდა. ოთახების განლაგება მკაცრ წესებს ემორჩილებოდა, სივრცე ჰარმონიულად იყო მოწყობილი ოჯახური კეთილდღეობისა და სულიერი ბალანსის უზრუნველსაყოფად. (李瑞君, 2021).

უშუალოდ პეკინში ასეთი საცხოვრისების ფართომასშტაბიანი მშენებლობა იუენის დინასტიის (1271-1368) მმართველობის პერიოდიდან იწყება, როცა პეკინი იქცა იმპერიულ დედაქალაქად. (陆波, 2024) იმ დროინდელი ტატუს[47] დაგეგმარება ეფუძნებოდა სიმეტრიულ და ფუნქციურ პრინციპებს — სახლები აშენებული იყო ისე, რომ თითოეულ ოთახში კარგად შესულიყო მზის შუქი, გამართული იყო სავენტილაციო სისტემა და ამ პერიოდისთვის ქუჩათა ქსელი იყო მოწესრიგებული.

მინგისა (1368–1644) და ცინგის (1644–1911) დინასტიების პერიოდში ქალაქის მოსახლეობის მკვეთრ ზრდასა და ახალ მშენებლობებთან ერთად, დაიწყო მოწესრიგებული ქუჩათა სისტემის რღვევა. სახლები იგებოდა ერთი მეორესთან ძალიან ახლოს, რის შედეგადაც იქმნებოდა ვიწრო ქუჩები და ბილიკები. ასეთ პატარა ქუჩებს ეწოდება *ხუთუნგი*[48]. დროთა განმავლობაში *ხუთუნგები* იქცა არა მხოლოდ საცხოვრებელ სივრცედ, არამედ ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების კერადაც: მათ შორის ფუნქციონირებდა ტაძრები, საწყობები, ბაზრები და გასართობი დაწესებულებები. (陆波, 2024).

---

[47] იუენის დინასტიის პერიოდში დედაქალაქი გადაიტანეს დღევანდელი პეკინის ტერიტორიაზე და მას უწოდეს 大都 (Dàdū), რაც ითარგმნება როგორც „დიდი დედაქალაქი“. დასავლურ წყაროებში იგი ცნობილია როგორც Tatu ან Khanbalik — „ხანის ქალაქი“.

[48] 胡同 (hútòng) - შესახვევი, ვიწრო ქუჩა, სახლებს შორის ვიწრო გასასვლელი.

***სხეიუენის* აღწერა**

სხეიუენს მხოლოდ ერთი შესასვლელი უკეთდებოდა[49] (სურ.1). ის ძირითადად განლაგებული იყო სამხრეთ აღმოსავლეთ მხარეს. მაცხოვრებლების აზრით, კარის ამგვარი განლაგება უზრუნველყოფდა სახლში დადებითი ენერგიის მოზიდვას. საცხოვრისის კარებები და ფანჯრები მიმართული იყო შიდა ეზოსკენ, ხოლო ქუჩის მხარეს ძირითადად ყრუ კედლები იყო, ძალიან იშვიათად მცირე ზომის ღიობებით. ჩინელების მოსაზრებით, ამგვარი კედელი იცავდა სახლს ბოროტი სულებისა და ავი თვალისაგან, თუმცა, ცხადია მათ ჰქონდათ პრაქტიკული დანიშულებაც. განსაკუთრებით მაღალი იყო ჩრდილო და დასავლეთ კედლები, ისინი იცავდნენ სახლს ცივი ქარებისა და მტვრისგან, რაც განსაკუთრებით ხშირია ჩინეთის ჩრდილოეთ ნაწილში. (贾珺, 2022).

სურ.1

მთავარი შესასვლელი კარის მოპირდაპირე მხარეს განლაგებულია დეკორატიული კედელი[50] (სურ.2). *სხეიუენი* დაგეგმილია ისე, რომ გარეშე პირების მზერას ვერ შეეღწია ინტერიერში.

[49] 正门 (zhèngmén) ან 大门 (dàmén) მთავარი კარი, წინა კარი, ჭიშკარი
[50] 影壁 (yǐngbì) დეკორატიული კედელი

მათი მზერა ყოველთვის ხვდება კედელს ან ეკრანს, რადგან დაიცვას სახლი უცხო მზერისა და ავი სულებისგან. სახლებს ხშირად უკეთდებოდათ მცირე მართკუთხა გარე ეზო[51], რომელის გავლითაც, მეორე კარის[52] მეშვეობით შედიოდნენ ძირითად, შიდა ეზოში[53](სურ.3).





სურ.2 სურ.3[54]

სხეიუენში თითოეული შენობის განლაგება მკაცრად ემორჩილებოდა იერარქიულ პრინციპებს. ყველაზე საპატიო ადგილი, ჩრდილოეთის მხარეს განლაგებული მთავარი სახლი[55], ტრადიციულად ეკუთვნოდა ოჯახის უფროს წევრებს — ბებიას და ბაბუას, ან მშობლებს. კომპლექსში ზომით ყველაზე დიდი, მზის სხივებისგან დაცული და მყუდრო, სწორედ ასე გამოხატავდა ოჯახის პატივისცემას ასაკოვანი თაობის მიმართ. აღმოსავლეთისა და დასავლეთის სახლები[56], როგორც წესი, შთა-

[51] 外院 (wàiyuàn) გარე ეზო
[52] 二门 （èrmén）მეორე კარი
[53] 内院 (nèiyuàn) შიდა ეზო
[54] მოცემული სამგანზომიალებიანი ვიზუალიზაცია სპეციალურად ამ სტატიისთვის შემუშავდა ავთანდილ ახალაძის მიერ
[55] 正房 (zhèngfáng) მთავარი სახლი
[56] 厢房 (xiāngfáng) გვერდითი მიშენებული ოთახი (ფრთა), ფლიგელი:

მომავლებისთვის იყო განკუთვნილი. ერთ მხარეს ცხოვრობდა უფროსი შვილი და მისი ცოლი, ხოლო მეორე მხარეს უმცროსი ვაჟი დაუოჯახებელი ქალიშვილი. სამხრეთის მხარე[57], გამოიყენებოდა საკუჭნაოებისთვის, სამზარეულოსთვის, მსახურთა განსათავსებლად, ასევე აქ შეეძლო გაეთია ღამე სტუმარსაც (李瑞君, 2021)(სურ.4).



სურ.4

სხეიუენის შიდა ეზოს მორთვას პეკინელები დიდი ყურადღებით ეკიდებოდნენ. აქ წარმოდგენილი იყო ჩინური ბაღის განუყოფელი ელემენტები: დეკორატიული ქვები, ტბორი, ყვავილები და ხეები. პეკინის შემთხვევაში ეზოებში ყველაზე ხშირად ირგვებოდა ბროწეული (სურ.5),(სურ.6).

სურ.5

სურ.6

[57] 倒座房 (dàozuòfáng) მთავარი სახლის მოპირდაპირე ფლიგელი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, *სხეიუენი* ნიშნავს ერთი ეზოს ირგვლივ გაერთიანებულ ოთხ სახლს. თუმცა ეს არის ასეთი საცხოვრისის ყველაზე ადრეული და მარტივი მოდელი. დროთა განმავლობაში ამ კონფიგურაციაში შედიოდა მცირედი ცვლილებები, ჩნდებოდა დამატებითი შენობები და შესაბამისად იზრდებოდა ეზოთა რაოდენობაც. ტრადიციული მოდელის გვერდით, ნელ-ნელა ჩნდებოდა უფრო რთული კომპლექსები ორი ან მეტი ეზოთი და დამატებითი მინაშენებით. ასეთი მრავალეზოიანი სახლები ხშირად მიანიშნებდა ოჯახის მაღალ სოციალურ სტატუსსა და მატერიალურ შესაძლებლობებზე.

ისტორიულ-პოლიტიკური კონტექსტი XX საუკუნის ჩინეთში

მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ჩინეთი გახდა ინტენსიური გეოპოლიტიკური კონფლიქტებისა და შიდა დაპირისპირებების ეპიცენტრი. 1930-იან წლებში იაპონიის აგრესიამ და შემდეგ მეორე მსოფლიო ომმა მნიშვნელოვნად გააღრმავა ქვეყანაში არსებული კრიზისები. ომის დასრულების შემდეგ, სამოქალაქო დაპირისპირება ჩინეთის კომუნისტურ პარტიასა და კუომინტანგს შორის გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. 1949 წელს მაო ძედუნმა [58] პეკინში გამოაცხადა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსება, სოციალისტური სახელმწიფოს დაფუძნება, რომელმაც მოიტანა პოლიტიკური სისტემისა და საკუთრების ფორმების ფუნდამენტური ცვლილება. (陆波, 2024)

1950-იან წლებში დაიწყო ფართომასშტაბიანი რეფორმები, მათ შორის ინდუსტრიალიზაცია და კერძო საკუთრების ნაციონალიზაცია. შემდეგი ათწლეულის მანძილზე განხორციელდა ეკონომიკური და სოციალური ექსპერიმენტები, რომელთა პიკს წარმოადგენდა „დიდი ნახტომი“ (1958) და კულტურული რევოლუცია (1966–1976) — რადიკალური მოძრაობა, რომელიც

[58] 毛泽东 (MáoZédōng) მაო წედუნგი- ჩინეთის კომუნისტური პარტიის ლიდერი. 1949 წელს გახდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დამფუძნებელი.

მიზნად ისახავდა ტრადიციული კულტურის, განათლებისა და ინსტიტუტების გარდაქმნას.

ამ მოვლენებმა შეცვალეს არა მხოლოდ პოლიტიკური სისტემა, არამედ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს ურბანულ სტრუქტურებზე, მათ შორის, პეკინის ისტორიულ საცხოვრისებზე. კერძო საკუთრების გაუქმებამ, მოსახლეობის რეორგანიზაციამ და კულტურული მემკვიდრეობის უგულებელყოფამ საფუძველი ჩაუყარა იმ არქიტექტურულ და სოციალურ ცვლილებებს, რომლებიც *სხეიუენის* ტრანსფორმაციის პროცესში აისახა.

სხეიუენის ტრანსფორმაცია *„ტაწაიუენად“*[59]

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსების შემდეგ, ქვეყნის სოციალისტურმა კურსმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საცხოვრისებზე. კერძო საკუთრების გაუქმების შედეგად, ტრადიციული პეკინური სახლებიც გადავიდა სახელმწიფო მფლობელობაში (Uffelen, 2021). საცხოვრებელ კომპლექსებში, რომლებიც ისტორიულად მხოლოდ ერთი ოჯახის საკუთრებას წარმოადგენდა, ეტაპობრივად, ძველი მფლობელების ნების საწინააღმდეგოდ შეასახლეს რამდენიმე ახალი ოჯახი.

ამ პროცესმა წარმოშვა ტერმინი „*ტაწაიუენი*“ სიტყვასიტყვით ნიშნავს „დიდი შერეულ ეზოს"[60]. თუ თავდაპირველად საცხოვრისი ინარჩუნებდა პრინციპს „ერთი სხეიუენი — ერთი ოჯახი“, XX საუკუნის მეორე ნახევარში ეს სტრუქტურა შეიცვალა მოდელით „ერთი *სხეიუენი* — მრავალი ოჯახი“. მოსახლეობის სწრაფმა მატებამ და საცხოვრებელი სივრცის არათანაბარმა განაწილებამ მნიშვნელოვნად გააუარესა საცხოვრებელი პირობები.

1960-იანი წლებისთვის, ერთ სულ მოსახლეზე განკუთვნილი საცხოვრებელი ფართობი საშუალოდ 3 კვადრატულ მეტრამდე შემცირდა. მრავალთაობიანი ოჯახები ხშირად ორ ოთა-

---

[59] 大杂院 (dàzáyuàn) მრავალი ოჯახით დასახლებული (ერთსართულიანი) საცხოვრებელი კომპლექსი შიდა ეზოთი.

[60] 大(dà) - დიდი 杂 (zá) - შერეული 院 (yuàn) - ეზო

ხში ცხოვრობდნენ, რაც ქმნიდა გადატვირთულ და არაკომფორტულ გარემოს. დამატებითი ფართობის საჭიროებამ მოსახლეობას უბიძგა თვითნებურ მინაშენთა აგებისკენ — უმეტესად შიდა ეზოებში, რაც არღვევდა *სხეიუენის* ტრადიციულ სივრცით სტრუქტურას და ანადგურებდა მის ჰარმონიულ კონცეფციას (სურ.7),(სურ.8). (罗东生, 2021)

სურ.7 სურ.8

კულტურული რევოლუციის პერიოდში (1966–1976) მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. საცხოვრებელი გარემოსთვის ზიანთან ერთად, მასობრივი კამპანიები მიმართული იყო ისტორიული და არქიტექტურული მემკვიდრეობის წინააღმდეგაც. არაერთი *ხუთუნგი* განადგურდა, დაზიანდა ან თავისი ავთენტურობა დაკარგა.

ხუთუნგების დღევანდელი მდგომარეობა

ზემოთ აღწერილი ცვლილებების შემდეგ, ძველი სიხეიუენების უმეტესობა, დღესაც ფუნქციონირებს როგორც ერთგვარი კოლექტიური სახლი. ასეთ პირობებში რთულია საყოფაცხოვ-

რებო სტანდარტების დაცვა. ხშირ შემთხვევაში, ძველი ნაგებობების ფიზიკური მდგომარეობა მძიმეა, კედლები და სახურავები ვეღარ ინარჩუნებენ სითბოს, ხოლო წვიმის სეზონზე წყლის ჩამოსვლა და ტენიანობა პრობლემად რჩება. ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევა სველი წერტილების ნაკლებობაა. ბევრ *სხეიუენში* არ არის ინდივიდუალური სანიტარული სივრცე, რის გამოც მოსახლეობას უწევს გარე, საერთო საპირფარეშოების გამოყენება.

ხშირად, მოსახლეობა ცდილობს საცხოვრებელი პირობების დამოუკიდებლად გაუმჯობესებას, თუმცა *ხუთუნგების* ისტორიულად ღირებული ძეგლებია, რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი რეკონსტრუქცია საჭიროებს ნებართვას ადგილობრივი ხელისუფლებისგან და მკაცრი ნორმების დაცვას.

პეკინის ურბანული მოდერნიზაციის პარალელურად, ტრადიციული *ხუთუნგები* სულ უფრო მეტად განიხილებოდა როგორც ქალაქის განვითარების პრობლემური სივრცეები — ისინი იკავებდნენ დიდ ტერიტორიას ქალაქის ცენტრში, მაგრამ ფიზიკურად და ფუნქციურად აღარ შეესაბამებოდნენ თანამედროვე მოთხოვნებს. 1990-იანი წლებიდან დაწყებული სწრაფი ეკონომიკური ზრდის ფონზე, ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, ეტაპობრივად დაენგრიათ მძიმე მდგომარეობაში მყოფი საცხოვრებლები და მათი ნაცვლად აშენებულიყო მრავალსართულიანი კომპლექსები.

სახლების მდგომარეობის შეფასების შედეგად, ისინი დაყოფილი იყო ხუთ კატეგორიად. კრიტიკულად ავარიულ შენობებად მიჩნეულ IV-V კატეგორიებს აქტიურად ანგრევდნენ XX საუკუნის მიწურულს. ამის შედეგად ათასობით კვადრატული მეტრზე განლაგებული საცხოვრისები სამუდამოდ განადგურდა და მოსახლეობა გადაყვანილ იქნა ახალ აშენებულ, მაღალკორპუსიან სახლებში. თუმცა, ის ისტორიული ღირებულების მქონე სახლები, რომლებიც სტრუქტურულად ჯერ კიდევ მდგრადი იყო, გადაურჩა დემონტაჟს.

2002 წელს პეკინის მუნიციპალურმა მთავრობამ დაიწყო 25-წლიანი გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ყოველწლიურად 0.5

მილიარდ იუანზე მეტი ინვესტიციის ჩადებას *სხეიუენების* განახლებაში და შიდა ქალაქის მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაში. (Resources, 2023)

არქიტექტურული სტუდია URBANUS[61]-მა 2015 წელს განახორციელა პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა პეკინის, კერძოდ ციენმენის უბნის *ხუთუნგების* დეტალურ დოკუმენტაციასა და ანალიზს (სურ.9). მათი კვლევები და რეკომენდაციები საფუძვლად დაედო შემდგომ პრაქტიკულ ნაბიჯებს, რომლებიც სხვა არქიტექტურულმა კომპანიებმა განახორციელეს. ამ კომპანიებმა დაიწყეს ისტორიული სივრცეების ტრანსფორმაცია და მათი თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. ამგვარად, URBANUS-ის პროექტმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა *ხუთუნგების* შენარჩუნებისა და განახლების პროცესში, რასაც მოჰყვა სხვა არქიტექტურული კომპანიების აქტიურ ჩართულობას ამ მიმართულებით. (urbanus.com, 2015)

სურ.9

დასკვნა

ტრადიციული პეკინური საცხოვრისების ტრანსფორმაცია ისტორიული პროცესების ჭრილში, ასახავს იმ სიღრმისეულ პოლიტიკურ და სოციალურ ძვრებს, რომლებმაც განსაზღვრა

[61] URBANUS - დაარსდა 1999 წელს, წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან დამოუკიდებელ არქიტექტურულ ბიუროს ჩინეთში, რომელიც გამოირჩევა კვლევებზე დაფუძნებული მიდგომით ურბანული ტრანსფორმაციისა და ისტორიული მემკვიდრეობის რენოვაციის მიმართულებით.

ქალაქის იერსახე და ცხოვრების წესი XX საუკუნის მეორე ნახევარსა და XXI საუკუნის დასაწყისში. *სხეიუენების* ინდივიდუალური სივრციდან კოლექტიურ საცხოვრებლად გადაქცევა სიმპტომატურია იმ ეპოქისთვის, როდესაც საკუთრების ფორმა რადიკალურად შეიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ ისტორიულ უბნებში ჩარევამ მრავალჯერ დააზიანა მათი პირვანდელი სახე, ბოლო წლებში დაწყებულმა კონსერვაციისა და რეაბილიტაციის პროცესებმა გააჩინა იმედი ამ უნიკალური მემკვიდრეობის შენარჩუნებისა. ამ ტიპის საცხოვრისების განხილვა მნიშვნელოვან წარმოდგენას იძლევა არქიტექტურისა და ქვეყანაში მიმდინარე პროცესების ურთიერთდამოკიდებულებაზე, ისევე როგორც ტრადიციისა და თანამედროვეობის თანაარსებობის მოდელზე, რომელიც დღევანდელი ურბანული პოლიტიკისთვის კვლავ აქტუალურია.

გამოყენებული ლიტერატურა:

Morris, R. (1988). *Khubilai Khan: His life and times.* University of California Press.

Resources, B. M. (2023). *Beijing City Plannung Chart.* Beijing : Beijing Municipal Urban Planning and Design Institute, Beijing City Planning Institute.

Uffelen, C. v. (2021). *China- The New Creative Power in Architecture.* Braun Publishing AG.

urbanus.com. (2015). მოპოვებული URBANUS: http://www.urbanus .com. cn/projects/hutong-yansheng/-დან

李瑞君. (2021). *北京四合院建筑及环境设计研究.* 北京: 中国建筑工业出版社(=ლი ჟუეიძიუნ.(2021).პეკინის სხეიუენის არქიტექტურისა და გარემოს დიზაინის კვლევა. ჩინეთის სამშენებლო მრეწველობის გამომცემლობა. პეკინი).

罗东生. (2021). *镜头时光机穿越京城160年：帝都皇城.* 北京: 故宫出

版社(=ლუო ტუნგშენგი. (2021). დროის მანქანით პეკინში მოგზაურობა 160 წელი: დიდი იმპერიული დედაქალაქი. აკრძალული ქალაქის გამომცემლობა. პეკინი).

贾珺. (2022). *北京四合院.* **北京**: **清**华大学出版社(=ძია ძიუნი.(2022) პეკინის სხეიუენი.ცინგხუას უნივერსიტეტის გამომცემ-ლობა. პეკინი).

陆波. (2024). *北京的历史细节.* **北京**: **人民文学出版社**(=ლუ პო. პეკინის ისტორიული დეტალები. სახალხო ლიტერატურის გამომცამლობა. პეკინი).